

## ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2020 წლის 11 თვის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი წარმოგიდგენთ 2020 წელს განხორციელებული სავალდებულო ღონისძიებების დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის ანგარიშს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოზურგეთის რაიონული ცენტრი არის ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მართვის მიზნით. აღნიშნული ცენტრი რეგულირდება საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც თავის კომპეტენციის ფარგლებში, შეიმუშავებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებებს. ცენტრს აქვს დებულება, ფლობს გერბიან ბეჭედს და შტამპს საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით, აქვს ხარჯთაღრიცხვა და სათანადო ანგარიშგება სახელმწიფო ხაზინაში.

საზოგადოებრივი ცენტრის დაფინანსება ხორციელდება, როგორც რაიონული მუნიციპალური პროგრამების, ასევე ცენტრალური ბიუჯეტიდან სახელმწიფო ცენტრალური პროგრამის შესრულების მიხედვით. გარდა ზემოთ აღნიშნულისა ცენტრს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტში, შემაჯავალი სამედიცინო დაწესებულებების, სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და წარდგენა, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და ვაქცინებით უზრუნველყოფა.

### საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ძირითადი ფუნქციებია:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელების ინფორმირება დელეგირებული უფლებამოსილებების შესრულების შესახებ;
2. შესაბამისი სამსახურების ინფორმირება („საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო,“ „სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა“ და „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;“)
3. სახელმწიფო (ცენტრალური) პროგრამების ორგანიზაციის და განხორციელების ხელშეწყობა.
4. რუტინული სამედიცინო სტატისტიკური მასალის შეგროვება დამუშავება და წარდგენა დადგენილი წესის მიხედვით.

„ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ბიუჯეტი წლის დასაწყისში შეადგენს 130 000 ლარს, დღეის მდგომარეობით, ბიუჯეტი შეადგენს 22 7515.80 ლარს. ცენტრში მუშაობს მუნიციპალური პროგრამის დაფინანსების ფარგლებში, 16 საშტატო თანამშრომელი, რომელთა საშუალო ხელფასი შეადგენს 462 ლარს და 1 შტატგარეშე თანამშრომელი. 2020 წელი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის პროგრამის მთლიანი შემოსავალი 11 თვეში განისაზღვრა 251 096,87 ლარით, აქედან ბიუჯეტიდან მიღებული თანხა შეადგენს 204828,87 ლარს, ხოლო საკუთარი შემოსავლები 46 268 ლარს. რაც შეეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროგრამას, მის შესასრულებლად თანხები არ გამოყოფილა.

2020 წლის 11 თვის მონაცემებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გაწეულია შემდეგი ხარჯები: შრომის ანაზღაურება შეადგენს 147 857 000 ლარს, აქედან თანამდებობრივი სარგო შეადგენს 126447.20 ლარს, შტატგარეთა შრომის ანაზღაურება 21410.11 ლარი, კომუნალური ხარჯები 1640.35 ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი 6035.83 ლარი, საოფისე ხარჯი 5183.50 ლარი, ბინის ქირა 11 000 ლარი, დაცვა 1 350 ლარი, მივლინება 415 ლარი, სამედიცინო ხარჯი 2376.80 ლარი, ავტომანქანის შექმნის 48 900 ლარი, ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე ჯანდაცვის ცენტრი გადასულია 24 საათიან სამუშაო რეჟიმზე, რისთვისაც თანამშრომლებზე გაიცა პრემია 7 250 ლარი და დანამატი 6 513, სულ გაიხარჯა 238521.79 ლარი.

გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები:

2020 წლის 11 თვეში, ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში, ჩატარებულია ეპიდველევა და დასახულია შესაბამისი ღონისძიებები შემდეგ დაავადებებზე: წითელა 0, ყვიანახველა 2, შიგელოზი 5, ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ბB11, ჰეპატიტი ც 73, ემერიხიოზი 1, სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა 717, სოკოთი მოშხამვა 3, სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეები 128, ბრუცელოზი 2, მლაიმის დაავადება 1, ცოფის რისკის მქონე ექსპოზიცია 1268, ჰანტავირუსული ინფექცია 0, ლეპტოსპიროზი 2, ქუნთრუმა 3, ჩუტყვავილა 14, სიფილისი 2, ბორელიოზი 6, აივ-შიდსზე ტესტირებული ორსულები 9736, აივ-შიდსზე ტესტირებული ორსული 350, ტუბერკულოზი 32 და ენტეროჰემორაგიული ემერიხიოზი 1.15-49 წლის ასაკის ქალის სიკვდილი 2. მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის რისკის შემცველობის მქონე შემთხვევები, შესწავლილი იქნა და შეყვანილი ეპიდემიოლოგის მიერ "დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის ერთიან ეროვნულ ბაზაში." განხორციელებულია გეგმიური მონიტორინგი რაიონის ტერიტორიაზე არსებულ ყველა სამედიცინო დაწესებულებებში.

2020 წლის 11 თვეში ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში, ც ჰეპატიტზე გამოკვლეული იქნა 22 ბენეფიციარი. დადებითი პასუხის მქონე პირები გაგზავნილი იქნა შესაბამის დაწესებულებაში.

2020 წლის 11 თვეში ოზურგეთის რაიონში, კოვიდ ინფიცირებულების შემთხვევათა ჯამური რაოდენობა შეადგენს 2 195, აქედან აქტიური შემთხვევის რაოდენობა არის 712, აქედან გამოჯანმრთელდა 1 462, გარდაიცვალა 21, ხოლო ტესტირება გაუკეთდა 9 124 ადამიანს.

### **იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა**

მოსახლეობაში (0-დან 15 წლამდე) ჩვენს მიერ დადგენილი იმუნიზაციის პროცესის და სამიზნე კონტიგენტის შესაბამისად, რომლის მთავარი ამოცანაა იმუნიზაციით მოცვის მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფა, განხორციელდა სათანადო ღონისძიებები: ყოველდღიურად მოწმდება სათანადო პერსონალის მიერ „ცივი ჯაჭვის“ (ვაქცინების შესანახი მაცივრების) გამართული მუშაობა. 29 სამედიცინო უბანში, შპს "მედალფას" ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში, მოთხოვნების შესაბამისად გაცემულია ასაცრელი მასალა, ისეთი მართვადი ინფექციების თავიდან ასაცილებლად, როგორცაა ტუბერკულოზი, Bჰეპატიტი, პოლიომიელიტი, ყვიანახველა, დიფთერია, ტეტანუსი, წითელა, წითურა და ყბაყურა. ხდება Bჰეპატიტის ვაქცინის მიწოდება ც ჰეპატიტის პროგრამაში ჩართული დაწესებულებისთვის.

„ც“ ჰეპატიტზე, აივ/შიდსისა და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის ფარგლებში, ხდება ციკლიტის და შიდსის ტესტების მიწოდება სამედიცინო დაწესებულებებისათვის და ამბულატორიების ექიმებისთვის.

2020 წელს ციკლიტზე, აივ/შიდსისა და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამის ფარგლებში გამოკვლეული იქნა 16 465 ბენეფიციარი მ.შ. ციკლიტზე დადებითი 10 შემთხვევა, აივ/შიდსე 4, ტუბერკულოზი 0 საექვო შემთხვევა.

2020 წლის 11 თვის განმავლობაში აცრებით მოცვის მაჩვენებელი შეადგენს: ბცჟ—80 %, სინფლორიქსი 80 %, წწყ-II 75 %, ტდ 42%, ჰექსასიმი 85%, როტა 68%, აპვ2 47%, ტეტრაქსიმი 73% ჩატარდა მონიტორინგი სოფლის საექიმო ამბულატორიებში.

საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით ხდება 1-19 წლამდე აუცრელ ან არასრულად აცრილი პირების ვაქცინაცია წწყ ვაქცინით 19 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის ვაქცინაცია აცრის სტატუსის მიუხედავად.

### **სტატისტიკური მონაცემების ანალიზი**

სამედიცინო დაწესებულებებუდან მიღებული სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად (იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებლები, დემოგრაფიული (შობადობა გარდაცვალება, ბუნებრივი ნამატი,) ინფექციური დაავადებების, ტუბ მუშაობის კვარტალური, ანტირაბიულის ყოველთვიური ფორმების დამუშავება სპეციალური კომპიუტერული პროგრამებით კეთდება ანალიზი და დგინდება შესაბამისად მოსალოდნელი პროგნოზი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წლის 11 თვეში შობადობა შეადგენს 309, გარდაცვალება არის 495, მკვდრადშობადობა 2.

### **ანტირაბიული ღონისძიებები**

ღონისძიებების ძირითადი მიზანია მუნიციპალიტეტში, ცოფის გავრცელების წინააღმდეგ სისტემატური მონიტორინგის წარმოება და სათანადო ღონისძიებების გატარება. შესაბამისი სამსახურების (ვეტ სამსახური, ანტირაბიული კაბინეტი) დროული ინფორმირება. ცოფზე საექვო ცხოველების მიერ დაკბენა, დორბლვა, დაკაწვრის შემთხვევაში კერის ეპიდემიოლოგიური შესწავლა, დაზარალებულების დროული ჩამბვა პროფილაქტიკურ მკურნალობაში.

2020 წლის 11 თვეში სულ შემოსულია ცოფზე საექვო ცხოველების მიერ დაკბენილ დაკაწრულ დადორბლილი ადამიანების 1355 შემთხვევა. აქედან სრული კურსი ჩაუტარდა 831, არასრული 432, შეწყვეტილი 92. ყველა მათგანზე დამყარებულია სისტემატური მონიტორინგი და დროულად ინფორმირებულია სურსათის უვნებლობის და ვეტერინარიის სათანადო სამსახური ცხოველებზე 10 დღიანი საკარანტინო ღონისძიებების ჩასატარებლად. ყველა საექვო ცხოველის მიერ დაკბენილი დაკაწრული და დადორბლილი ადამიანები ეპიდემიოლოგიურად შესწავლილია. დაზარებულებს სტანდარტული სქემის მიხედვით დაზიანებებიდან გამომდინარე დაენიშნათ პროფილაქტიკული კურსი ანტირაბიული ვაქცინით და ანტიტეტანური შრატით.

მაღარიის, ჰელმინთოზების წინააღმდეგ პრევენციული და კონტროლის ბრძოლის ღონისძიებები:

ღონისძიებები მოიცავს, წყალსატევებში გამბუზის გავრცელებას, სიცხიანი ავადმყოფების გამოვლენას, მათი ლაბორატორიული კვლევას, კერაში ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას, პარაზიტული და სხვა ჰელმითური დაავადებების კლინიკური კვლევას, ლექცია საუბრების ჩატარებას:

გამომდინარე იქედან რომ, ოზურგეთის რაიონი ითვლება ჰიპერმალარიულ ზონად და მიეკუთვნება პირველ ჯგუფს, სადაც დაავადების გადაცემის რისკი ძალიან მაღალია, ამიტომ აუცილებლობას წარმოადგენს შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ღონისძიებები მიმართულია გამომწვევისა და გადამტანის წინააღმდეგ, რომლებსაც მიეკუთვნება შემდეგი სამუშაოები: ყველა წყალსატევების აღრიცხვა პასპორტიზაცია რომელიც ჩატარდა მარტის თვეში, რაიონში აღირიცხა 254.07 ჰა. წყალსატევი მ.შ. ანოფელეგენური 250.38 ჰა. (რომლებშიც იჩეკება და მრავლდება მალარიის გადამტანი კოლო ანოფელესები)

2020 წლის 11 თვეში ენტომოლოგიური განყოფილების მიერ გატარებული იქნა საბონიფიკაციო სამუშაოები: გამოკვლეულია 254.07 ჰა, გამბუზია გადაყვანილია 18% ჰა, გაიწმინდა წყალსატევები წყალმცენარეებიდან 14300 მ. მიწის ფართობზე, გაჭრილი იქნა 412 მ. სიგრძის არხი.

რაიონის ტერიტორიაზე ტარდება სანგანმათლებელი სამუშაოები, რომლებიც მოიცავს მათ გაფრთხილებას თუ როგორ დაიცვან თავი მწერების კბენისაგან.

მალარიაზე გამოკვლევა ჩატარდა 90 პიროვნებას (პიროვნებებს, რომელთაც აღენიშნებოდათ უცნობი ეტიოლოგიის ცხელება და 3DDდღეზე მეტ ხანს ტემპერატურა)

### **ჰელმინთოზების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები:**

პარაზიტული დაავადებები გვხვდება მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოსახლეობაში, ინვაზიის გავრცელება დამოკიდებულია კვების წყალმომარაგებისა და სანიტარულ ჰიგიენური პირობების თავისებურებებზე, ბავშვებს შორის ინვაზია უფრო მაღალია და საერთოდ აღწევს 39%-ს. მოზრდილებს შორის კი 30 %-ს. ამიტომ ჰელმინთოზებისაგან მოსახლეობის გაჯანსაღების მიზნით ჩატარდა მეთოდური ლექცია-საუბრები ბავშვთა და სკოლის დაწესებულებებზე. მუნიციპალიტეტის რამდენიმე ბავშვთა ბაღში ( ქალაქია №1, №3, №2, მაკვანეთის სილაურის, მთისპირის) გამოკვლეული იქნა 6 წლამდე ბავშვთა კონტიგენტი ჰელმინთებზე. 7 საბავშვო ბაღში ჩატარდა დეჰელმინთიზაცია პრეპარატ ვერმოქსით და დაიხარჯა 560 აბი პრეპარატი. 2020 წლის 11 თვეში დაფიქსირდა 4 ტენიოზის, 348 ენტერობიოზის, 210 ასკარიდოზის და 3 ტრიქოცეფალოზის შემთხვევა.

2020 წლის იანვარ-თებერვალში მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო ბაღს ჩატარდა: დეზინფექცია, დერატიზაცია, დეზინსექცია ასევე ჩატარდა ჭების, ჭაბურღილების და წყლის ავზების დეზინფექცია.

2020 წლის მარტის თვეში ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე კორონა ვირუსთან დაკავშირებით ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები: საჯარო სკოლა 50, საბავშვო ბაღი 44, სოფლის ამბულატორიები 30, საბიუჯეტო ორგანიზაციები 34, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საცხოვრებელი ბინები და მუნიციპალიტეტში არსებული მრავალსართულიანი ბინების სადარბაზოები.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით (№377, 26 თებერვალი, 2020 წელი) ჩოვიდ-19 ზე ყოველ 14 დღეში ერთხელ გამოკვლევები ჩატარდა სარისკო ჯგუფის ბენეფიციარებს, მათის ივნისის თვეში გამოვიკვლიეთ 223 პიროვნება .

## სანიტარული ღონისძიებები

საგანმანათლებლო სააღმზრდელო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და ლექცია-საუბრების ჩატარება.

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა მონიტორინგი სკოლაში, ბავშვთა-ბაღში, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებაში, მონიტორინგის განხორციელების პროცესში, შემოწმებული იქნა ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებების შენობების სან\_ჰიგიენური მდგომარეობა, ბავშვთა სწავლებისა და ყოფის რეჟიმები, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის სან\_ჰიგიენური მდგომარეობა და მათი შესაბამისობა ბავშვთა ასაკთან.

წაკითხული იქნა ლექციები შემდეგ თემებზე: სეზონური გრიპი და მისი პროფილაქტიკა, ინფექციური დაავადებები და მათი თავიდან აცილების ღონისძიებები, A ჰეპატიტი და მისი პროფილაქტიკა. თამბაქოს, ალკოჰოლიზმისა და მათი მავნეობის შესახებ, ჰელმინთოზებს, ტრიქინელოზზე და მალარიის გადაცემის გზებზე ლექცია.

2015 წლის საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-27/თ ბრძანების შესაბამისად, ობიექტებში, სილამაზის, ტატუირების, პირსინგის, აკუპუნქტურის სალონების ინფექციური კონტროლის მიმართულებით არსებული ვითარების შეფასების მიზნით ჩატარდა მონიტორინგი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გაფრთხილებული იქნა შესაბამისი დაწესებულებების თანამშრომლები, მიეცათ ბრძანებები სანიტარული ნორმების დაცვის შესახებ.

ა.(ა).ი.პ. “თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციის და მონიტორინგის ცენტრი“-თან გაფორმებული ხელშეკრულება 01-39 15.05-ს საფუძველზე ჩატარდა მონიტორინგი რესტორნებში, სავაჭრო ობიექტებში, სასტუმროებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტებში და გასართობ ცენტრებში.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით ჩოვიდ-19 თან დაკავშირებით ჩატარდა სალონებში მონიტორინგი. 25 სალონს გაეწია რეკომენდაცია რომ განეგრძონ მუშაობა.

ურეკში და შეკვეთილში არსებულ სასტუმროებს ჩოვიდ-19 თან დაკავშირებით მიეცა რეკომენდაციები ახალი რეგულაციების შესრულების შესახებ.

ა.(ა).ი.პ. ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი

მაია ქუტიძე